



სახელმწიფო საინვესტიციო საქმიანობის უცხოური გამოცდილება გლობალური კრიზისის პირობებში

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საინვესტიციო საქმიანობის უცხოური გამოცდილება გლობალური კრიზისის პერიოდში. განხილულია სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილება, სახელმწიფო ხელისუფლების დონეებზე ინვესტიციების განაწილების პროცესში და განვითარებად ქვეყნებში შექმნილი ფინანსირების განსხვავებული გამოცდილება. განხილულია რეგიონული ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა, როგორც განვითარებულ ისე განვითარებად ქვეყნებში. ასევე, სხვადასხვა ქვეყნების მიერ ინვესტიციების განხორციელების პრიორიტეტები და მათი მნიშვნელობა, საინვესტიციო ბანკების მუშაობის სპეციფიკა, ბანკების მხრიდან სინვესტიციო პროცესის ხელშეწყობა საბანკო კრედიტების სახით. ყურადღება ეთმობა სახელმწიფოსა და კერძო სტრუქტურების პარტნიორობას, საინვესტიციო საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო, ინვესტიციები, რეგიონები, ეკონომიკა.

შესავალი

ამჟამად, სახელმწიფოს მხრიდან ინვესტიციები საბერძნეთში, ესპანეთში, ირლანდიაში ასევე პორტუგალიაში თავისუფალ შიდა პროდუქტთან მიმართებაში გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებში შედარებით დაბალია შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე. ხოლო იმ ქვეყნებში სადაც, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის დონე მაღალია, სახელმწიფო ინვესტიციები ბოლო დროს შემცირდა, ამასთან, სწორედ ასეთ ქვეყნებს ახასიათებს სოციალური დახმარებებზე დანახარჯები – შედარებით მეტი შემცირება აღინიშნება შვედეთში, ავსტრიაში, გერმანიაში, ბელგიაში.

სახელმწიფო ხელისუფლების დონეებზე სახელმწიფო ინვესტიციების განაწილების პროცესში აღსანიშნავია, რომ განვითარებულ ქვეყნებში და განვითარებად ქვეყნებში შექმნილია ფინანსირების განსხვავებული პრაქტიკა.

თეა კვაბზირიძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი

E-mail: t.kvabziridze@gmail.com

ლაშა ბაბრატიონი

აზერბაიჯანის სახელმწიფო
ეკონომიკური უნივერსიტეტის
დოქტორანტი

E-mail: lashab1989@gmail.com

ნატო ნატროშვილი

სტუ-ს დოქტორანტი

E-mail: natroshvili1981@gmail.com

პირობები ტექსტი

განვითარებულ ქვეყნებში რეგიონალური ინვესტიციები შეადგენენ სახელმწიფო ინვესტიციების მთლიან მოცულობის 50%-ზე მეტს (ამერიკის შეერთებული შტატებში 75%-მდე), ხოლო განვითარებად ქვეყნებში განსხვავებული მდგომარეობაა – საინვესტიციო პროექტების დაფინანსებისას ფედერალური სახსრების წილი მაღალია, მაგალითად რუმინეთში ის აღწევს 90%-ს.

ცენტრალური ხელისუფლება უმეტეს შემთხვევაში საინვესტიციო საქმიანობას აფინანსებს რეგიონებში და ადგილობრივად გრანტების ფორმით მიზანმიმართული პირდაპირი დანახარჯებით. ასევე გავრცელებულია საინვესტიციო საქმიანობის უშუალოდ ფონდების მიერ დაფინანსებამ.

ამგვარი პრაქტიკა ამართლებს, ვინაიდან იგი მხარს უჭერს საწარმოებს, რომლებიც სტრატეგიულად და ტერიტორიულად მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის, ქმნის ხელსაყრელ პირობებს ფინანსური უზრუნველყოფისათვის მხოლოდ იმ პროექტებისთვის, რომლებისგანაც გარკვეული ეფექტის მიღებას ვარაუდობენ.

განვიხილოთ ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების ზოგიერთი ფონდების საქმიანობა.

დანიაში დიდი ყურადღება ეთმობა დაფინანსების უზრუნველყოფის უცხოურ წყაროებს, ამასთან, მნიშვნელოვანი შეზღუდვები პირდაპირი ინვესტირებისათვის არ არსებობს, საინვესტიციო პროცესები რეგულირდება დანიის საერთო



კანონმდებლობით. ამგვარად დანიაში უცხოური ინვესტირებისათვის ვრცელდება ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირების ეროვნული რეჟიმი, რაც ამადლებს ქვეყნის საინვესტიციო ხელმისაწვდომობას უცხოელი ინვესტირებისათვის.

საინვესტიციო პოლიტიკა ფინეთში ასევე განსხვავებულია თავისი ლოიალურობით უცხოელი ინვესტირების მიმართ და უცხოური იურიდიული პირებს თავისუფლად შეუძლიათ შეიძინონ ფინეთის კომპანიების აქციების თითქმის 100%-მდე, გარკვეული შეზღუდვებით, რომელთა ასრებობა ქმნის სახელწიფო მონოპოლიას ზოგიერთ საქმიანობაზე. ფინეთში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საინვესტიციო საქმიანობაში მცირე და საშუალო საწარმოთა თანამონაწილეობას, რომლებსაც ეძლევათ გარკვეული ღვოტები საგადასახადო, სასესხო და სუბსიდიების მიმართულებით.

ამას გარდა, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმები ვრცელდება უცხოელ ინვესტირებზეც, რომლებიც გეგმავენ საქმიანობის განხორციელებას ფინეთის რეგიონებში, რომლებიც საჭიროებენ პერსპექტიულ განვითარებას.

ამასთან, სახელმწიფო სუბსიდიების მოცლობა შეიძლება ვარიირებდეს პროექტის ღირებულების 20–დან 45%-მდე ფარგლებში. უმნიშვნელოვანეს საქმიანობად ითვლება: წარმოება, ტურიზმი და მომსახურების სფერო. ამგვარად სახელმწიფო მიისწრაფვის მოიზიდოს უცხოური კაპიტალი ქვეყნის ეკონომიკის ზრდის სტიმულირებისათვის, ხოლო საინვესტიციო საქმიანობის მიმზიდველობას უზრუნველყოფს საკანონმდებლო რეგულირების სტაბილურობა და უცხოური კაპიტალის ინვესტირებისათვის შექმნილი პირობები ფინეთის საფინანსო საინვესტიციო ბაზარზე.

ფინეთში არსებობს მთელი რიგი ფონდები, რომლებიც ახორციელებენ, ადგილობრივი კომპანიების მხარდაჭერას, როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის გარეთ. ფონდების ძირითადი მიზანი მდგომარეობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში დახმარების გაწევა და ფინეთის საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერაში საზღვარგარეთ. ზოგიერთი საინვესტიციო ფონდი სპეციალიზირდება რეგიონების განვითარებაზე და სარისკო საფინანსო უზრუნველყოფით მცირე და საშუალო საწარმოებისათვის. ამასთან, ამგვარი კომპანიები არიან სახელმწიფოს კომპანიები. ქვეყანაში ასევე არსებობენ ერთობლივი ინვესტიციების დაფინანსების ფონდები, რომლებიც თანამონაწილეობენ ფინეთის საინვესტიციო კომპანიების საქმიანობაში სხვა ქვეყნებთან.

ჩრდილოეთ ევროპის საინვესტიციო ბანკი (NTB). აღნიშნული ბანკი შეიქმნა ჩრდილოეთ

ევროპის ხუთი ქვეყნის მიერ 1975 წელს, ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების საწარმოებს შორის თანამშრომლობის გაძეარების, ასევე წარმოებისა და ექსპორტის განვითარებაში დახმარების მიზნით. აღნიშნული ბანკი უზრუნველყოფს ჩრდილოეთ ევროპისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გადახდისუნარიან ორგანიზაციების კაპიტალში ინვესტირებას მრეწველობის ხელშეწყობის მიზნით და აღნიშნულს ახორციელებს საბანკო სესხის სახით.

ბანკის მიერ ამგვარი ინვესტიციების განხორციელება ხდება სახელმწიფოებათაშორის ან ბენეფიციარის ღონეზე, მაგრამ შესაბამისი სახელმწიფოს გარანტიის არსებობისას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინვესტირება არის წილობრივი ხასიათის მატარებელი: ბანკის კაპიტალი შეიძლება იყოს არაუმეტეს 50% პროექტის ხარჯები, რაც ავტომატურად გულისხმობს:

1) მსესხებლის გადახდისუნარიანობას,

2) ინვესტიციების გამოყენებისას ფინანსური ეფექტის მიღწევის ინტერესი.

შემდეგი ორგანიზაცია არის – საექსპორტო პროექტების ჩრდილოეთის ფონდი (NOPEF), რომელიც მიზნად ისახავს ინვესტირებას მთლიანად ან ნაწილობრივ სამრეწველო საქმიანობის განვითარებას ენერგო მომარაგების და კავშირგაბმულობის მიმართულებით. ფონდის მიზანია ხელი შეუწყოს ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების საწარმოებს კონკურენტუნარიანები იყვნენ საერთაშორისო ბაზარზე. ფონდის აქტივები ასევე მიმართულია ბაზრის კვლევასთან დაკავშირებული ტრეინინგების ხარჯების დაფარვისთვის. ფონდი მზადაა მონაწილეობა მიიღოს 50%-ის ოდენობით პროექტის რეალიზების ხარჯების დასაფარად, რომელიც კომპენსირდება ბენეფიციარის მიერ პროექტის შესრულების შემდეგ. სესხი გაიცემა არაუზრუნველყოფილი სესხის სახით.

საინვესტიციო საქმიანობას ჩრდილოეთ ევროპაში ასევე ახორციელებს წარმოების და ტექნოლოგიური განვითარების ფონდი. ფონდი მონაწილეობს პროექტების განხორციელების ხარჯების დაფინანსებაში არაუმეტეს 50%-იანი თანადაფინანსებით, თუმცა აღნიშნული დანახარჯები გაიზრდება სესხის სახით წარმოების განვითარებისა და სუბსიდიების ხარჯზე. სუბსიდიები გაიცემა წარმოების ხელშეწყობისა და ტექნოლოგიური წარმოების განვითარებისთვის. ფონდის პროექტების კოორდინაცია ხდება ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების სახელმწიფო რესურსების დარგში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხილვისას დიდი ყურადღება ეთმობა ქვეყნის სატბილურობას და ინვესტირების შესაძლებლობებს და მათი დაინტერესების დაცვის მახ-



ასიათებლებს.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მეთოდების¹ მიხედვით შესაძლებელი ხდება შეფასდეს ბიზნესის რეგულირებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა, მისი გამოყენება სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებში, რათა განხორციელდეს ინვესტირება. აღსანიშნავია, რომ საფინანსო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, როგორც განვითარებულ ისე განვითარებად ქვეყნებში არაა სრულყოფილი. პრიორიტეტებისა და მიმართულებების განსაზღვრისას ხელისუფლება ეყრდნობა ცალკეული რეგიონების მიხედვით არსებულ დევიციტის და ამა თუ იმ მომსახურების საჭიროების პრინციპს. ხშირად ხდება სრული ლობირება ცალკეული რეგიონების მიმართ, რაც იშვიათად არის დაკავშირებული რეგიონის ეკონომიკურ მახასიათებლებთან.

საინვესტიციო საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის საზღვარგარეთის პრაქტიკის განსაზღვრისას დიდი ყურადღება ეთმობა სახელმწიფოსა და კერძო სტრუქტურების პარტნიორობას.

ქვეყნებში სადაც სოციალურ-ეკონომიკური განვითარება სხვადასხვა დონეზეა აჩვენა, რომ გაცილებით უფრო წარმატებულია პროექტები, რომლებიც ხორციელდება კონცესიური ფორმით: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, ასევე სოციალური სფეროს განვითარებისთვის. თუმცა სხვადასხვა ქვეყნებში შეიქმნა პრიორიტეტების სხვადასხვა გრადაცია პროექტების რეალიზაციის მიმართულებაში, განსაკუთრებით იმ პროექტების მიმართ, რომლებიც ფინანსდება სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის ერთობლიობით. მაგალითად „დიდი შვიდეულის“ ქვეყნებში ჭარბობს სოციალური სფეროს განვითარების პროექტები: ჯანდაცვის, განათლების და მხოლოდ შემდეგ მოდის ინფრასტრუქტურისა და ავტოსაგზაო პროექტები.

ამასთან, სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის ერთობლიობით რეალიზებული პროექტების განხილვისას შეიძლება გამოიყოს ინვესტირების პრიორიტეტული მიმართულება. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჭარბობს ავტოსაგზაო განვითარების ინვესტირება (32 პროექტი), დიდ ბრიტანეთში ჯანდაცვის პროექტების რეალიზაცია (123 პროექტი) და განათლების პროექტები (113 პროექტი), გერმანიაში პირველ ადგილზე ასევე განათლების პროექტები (24 პროექტი), იტალიაში, კანადაში და საფრანგეთში – ჯანდაცვა.

ისეთ განვითარებულ ქვეყნებში როგორებიცაა ავსტრია, ბელგია, დანია, ავსტრალია, ირლან-

დია, ფინლანდია, ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, სამხრეთ კორეა, სინგაპური, ინვესტირების დიდი წილი მიმართულია მშენებლობებსა და ავტოსაგზაო რეკონსტრუქციების პროექტების რეალიზებაზე, შემდეგ მოდის სოციალური ხასიათის პროექტები: ჯანდაცვა და განათლება.

განვითარებად ქვეყნებში პირიქით ჭარბობს პროექტები რომლებიც მიმართულია ეკონომიკური განვითარების ზრდაზე, კერძოდ უმრავლეს ქვეყნებში ესაა პროექტები დაკავშირებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რასაც ადასტურებს ცენტრალური და დასავლეთ ევროპის მაგალითების შესწავლა (ბულგარეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, ხორვატია, პოლონეთი, რუმინეთი); ბალტიისპირეთი (ლატვია); და სხვა.

ასეთივე პრაქტიკაა ინდოეთში, ბრაზილიაში, ჩილეში, ჰონკონგში, მექსიკაში, საუდის არაბეთში, გაერთიანებული არაბეთის ემირატებში. ამგვარი განაწილება აისახება პირველ რიგში ქვეყნის დაინტერესებაში განვითაროს ესა თუ ის სექტორი. სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობა მოიხიდავს კერძო ბიზნესის ინვესტიციებს, რათა შეამციროს სახელმწიფოს დანახარჯები და რისკები გაანაწილოს პარტნიორებს შორის.

ამგვარად, სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის პარტნიორობის გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება ითქვას, რომ განვითარებულ ქვეყნებში ჭარბობს კონცესიალურ შეთანხმებებზე, რომლებიც მიმართულია სოციალური პროექტების განვითარებაზე, რაც დაკავშირებულია ორ მიზეზთან: ეკონომიკის სათანადო დონემდე განვითარებისა და მისი მოქმედება პირველ რიგში საბაზრო მექანიზმებთან, სოციალური ვალდებულებების შესრულების აუცილებლობა, რომელთა რეალიზაცია სავალდებულოა სოციალური სახელმწიფოსათვის. აშშ-ს ქვეყნებში უპირატესობა ენიჭება პროექტებს, რომლებიც მიმართულია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რადგან მისი სათანადო დონეზე განვითარება განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებას წარმოების მიმართულებით.

აღნიშვნის ღისრისა ის, რომ საქართველოში ასევე გამოიყენება სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობით შექმნილი პროექტები ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, სოციალური სფეროს მიმართულებით, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ამგვარი პროექტების ინვესტირების შედეგად დაგროვილი გამოცდილება არცთუ ისე დიდია და საზღვარგარეთის გამოცდილების ადაპტირება იქნება სასარგებლო ეკონომიკური კლიმატის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

¹ w.worldbank.org



დასკვნა

ნაშრომში განხილული საინვესტიციო საქმიანობის უცხოური გამოცდილება გლობალური კრიზისის პერიოდში, სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილება, სახელმწიფო ხელისუფლების დონეზე ინვესტიციების განაწილების პროცესში და განვითარებად ქვეყნებში შექმნილი ფინანსირების განსხვავებული გამოცდილება.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ოფიციალური საიტი: w.worldbank.org
2. ოფიციალური ვებ. გვერდი: <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe>
3. დისერტ. ჯანჯაღავა, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენა რეგიონები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

ЗАРУБЕЖНЫЙ ОПЫТ ИНВЕСТИЦИОННОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ ГОСУДАРСТВА В УСЛОВИЯХ ГЛОБАЛЬНОГО КРИЗИСА

ТЕА КВАБЗИРИДZE - Д.Э.Н.
E-mail: t.kvabziridze@gmail.com

ЛАША БАГРАТИОНИ - докторант Азербайджанского гос. экон. ун-ва.
E-mail: lashab1989@gmail.com

NATO NATROSHVILI - докторант ГТУ
E-mail: natroshevili1981@gmail.com

резюме

В работе рассмотрен зарубежный опыт инвестиционной деятельности государства в условиях глобального кризиса. Рассмотрен практический опыт разных стран распределения инвестиций на разных государственных уровнях и отличающийся опыт финансирования инвестиций в развивающихся странах. Рассмотрены роль и значение региональных инвестиций как в развитых, так в развивающихся странах. Так же рассмотрены приоритеты в инвестировании по разным странам, специфика работы инвестиционных банков, поддержка инвестиционного процесса со стороны банков банковским кредитованием. Уделено внимание партнерству государства и частных структур, с учетом опыта зарубежных стран в финансовом обеспечении инвестиционной деятельности.

FOREIGN INVESTMENT EXPERIENCE IN A STATE IN THE CONDITIONS OF THE GLOBAL CRISIS

TEA KVABZIRIDZE - doctor of Economic Sciences
E-mail: t.kvabziridze@gmail.com

LASHA BAGRATIONI - PhD of Azerbaijanian State Economical University
E-mail: lashab1989@gmail.com

NATO NATROSHVILI - PhD of GTU
E-mail: natroshevili1981@gmail.com

Summary

In this paper we consider the international experience of the investment activities of the state in the global crisis. Address practical experience of different countries the distribution of investments in different levels of government and different experience in financing investments in developing countries. Examined the role and importance of regional investments in developed so in developing countries. Just consider the priorities to invest in different countries, the specific operation of investment banks, support for the investment process from banks bank loans. Attention is paid to the partnership of public and private structures, taking into account the experience of foreign countries in the financial support of investment activity.